საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030163540858217

№ 01-189/ო **18 / აგვისტო / 2017 წ.**

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების (კვარტალური და წლიური) ფორმებისა და მათი წარდგენის ვადების დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებისა და „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ფორმები თანდართული რედაქციით (დანართი № 1, № 2, № 3, №4, №5, №6).

2. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მომზადების მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა (შემდგომში - სსიპ) სამინისტროს ეკონომიკურ, შიდა აუდიტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური დაცვისა და შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტებს წარუდგინონ კვარტალური შესრულების ანგარიშები საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო წლიური შესრულების ანგარიში – არაუგვიანეს მომდევნო წლის 30 იანვრისა, № 1- № 6 დანართების შესაბამისად; ასევე, სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტმა ეკონომიკურ და შიდა აუდიტის დეპარტამენტებს წარუდგინოს კვარტალური შესრულების ანგარიშები საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში და წლიური შესრულების ანგარიში – არაუგვიანეს მომდევნო წლის 30 იანვრისა, დანართი №3-ის შესაბამისად.

3. დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის საჭიროების შემთხვევაში, დაევალოს სსიპ-ებს ინფორმაციის მოთხოვნიდან (მ.შ. წერილობითი ან სიტყვიერი) 2 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყონ სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისთვის მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდება.

4. დაევალოს სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დაცვის დეპარტამენტებს, კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი კვარტალური ანალიზი მიაწოდონ სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტს, არაუგვიანეს საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 12 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო წლიური ანგარიში - არაუგვიანეს მომდევნო წლის 10 თებერვლისა.

5. დაევალოს სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტს:

ა) ზემოაღნიშნული ინფორმაციების კონსოლიდირება, კომპეტენციის ფარგლებში ანალიზი და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისთვის კვარტალური ანგარიშის წარდგენა საანგარიშო

პერიოდის დასრულებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო წლიური ანგარიშის წარდგენა არაუგვიანეს მომდევნო წლის 25 თებერვლისა;

ბ) შიდა აუდიტის დეპარტამენტს მიაწოდოს სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმებისა და მისი შესრულების საკასო ხარჯის შესახებ ყოველკვარტალური ინფორმაცია არაუგვიანეს კვარტლის დასრულებიდან მომდევნო თვის 20 რიცხვისა, ხოლო წლიური - არაუგვიანეს 25 თებერვლისა.

6. დაევალოს სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს, ეკონომიკური დეპარტამენტიდან და სსიპ-ებიდან მიღებული ინფორმაციების დამუშავების საფუძველზე, ყოველკვარტალურად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს წარუდგინოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური შესრულების მდგომარეობის ანალიზი, არაუგვიანეს კვარტლის დასრულებიდან მომდევნო მეორე თვის 25 რიცხვისა, ხოლო წლიური - არაუგვიანეს 5 მარტისა.

7. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების (ყოველთვიური და წლიური) ფორმებისა და მათი წარდგენის ვადების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 17 დეკემბრის № 01-254/ო ბრძანება;

ბ) „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მის სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ყოველთვიური ფინანსური შესრულების მდგომარეობის ანალიზის წარმოდგენის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 6 ივლისის №01-211/ო ბრძანება.

8. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ზაზა სოფრომაძე